# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია ში, აგჭალის ქუჩაზედ, გარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


დღეს, 24 ოქტომბერს, დიდუბის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულ პოეტის **ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათაშვილის** სულის მოსახსენებლად, რომლის ნაშთის გადმოსვენებიდგან ქ. ტფილისს ნახევარ წელი შესრულდა. (1—1)

ქართული თეატრი

კვირას, 24 ოქტომბერს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

ქ. მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა და ბ. დ. მ. აწყურელის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება:

I

## ალლუმი

კომ. 4 მოქ. გუნიასი

II

## ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი

ვოდ. 1 მოქმედ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. საფაროვისა, ავალიშვილისა, მძინაროვისა, მაქსიმიძისა და სხვ. ბბ. აბაშიძე, აწყურელი, გუნია, სვიმონიძე და სხ.

მზადდება წარმოსადგენად: ლანდი, ბედნიერი და ლატაკი და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ


უმაღლესს სასწავლებელში სწავლა დამთავრებული რეპეტიტორი ეძებს გაკვეთილებს ქართულ ოჯახში. ადრესი „ივერიის“ რედაქციაში. (4—რ—3)


## ტფილისი, 24 ოქტომბერი.

—

თუ ფრანგებისთვის აქამდის სანატრელი იყო რუსეთთან კავშირის დასკვნა—ეხლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს კავშირი დაისკვნა, და ფრანგების მეცადინეობა დაგვირგვინდა.

იმის შემდეგ, რაც საფრანგეთმა პატივისცემა და სიყვარული დაუმტკიცა რუსეთს—უკანასკნელის ამბებით — ძნელი-და საფიქრებელია, რომ რუსეთმაც იმავე საწყაულით არ მიუზღოს განცალკევებულს რესპუბლიკას და გაჭირვების დროს მეგობრული ხელი არ გაუწვდინოს!

იმისი გადმოცემა, რაც ამ დღეებში პარიჟში მოხდა, მოუხერხებელია. მხოლოდ ფრანგის საოცარს ფანტაზიას შეუძლიან ისე მშვენიერად და დიდებულად გამასპინძლება, როგორც ისინი გაუმასპინძლდნენ რუსეთის მეზღვაურთა. ამ შემთხვევის გამო მარტო პარიჟში მილლიონ ნახევარი სტუმარი ჩამოვიდა და თითონ პარიჟში ორ მილლიონ-ნახევარ სულზედ მეტია. ეხლა ადვილად წარმოიდგენს კაცი, თუ რა საოცარი სურათი უნდა ყოფილიყო, როდესაც ეს ოთხი მილლიონი ადამიანი ერთის სურვილისა და ერთის გრძნობით შეიქნა გამსჭვალული! ეს მოზღვავებული აღტაცება ფრანგებისა რუსეთის სიყვარულით კიდევაც გამოიხატა ისე, როგორც არაოდეს და არსად!

სხვა თანაგრძნობისა და პატივისცემის ნიშნებთ შორის, საფრანგეთის ქალები ეტლში უხტებოდნენ რუსის აფიცრებს და ტუჩში ჰკოცნიდნენ. ეს მაგალითი ნათლად ჰხატავს საფრანგეთის ეხლანდელ მდგომარეობას და დამოკიდებულების სურვილს რუსეთთან.

ყველაფერი, რაც მოხდა საფრანგეთში, ჩინებულად და საკვირველად იყო. მაგრამ, ჩვენ აქ ერთი რამ არ გვესმის: რა საჭიროება მოითხოვდა, რომ ყოველს სიტყვას, ყოველს შემთხვევას ფრანგები აბოლოვებდნენ იმითი, რომ ეს მანიფესტაცია მშვიდობის მომასწავებელია და სასურველია მშვიდობა დარღვეული არ იქმნესო.

მერე ვინ არღვევს მშვიდობას?!. ვინ რას დაეძებს და ვის უნდა დაიბრუნოს დანაკლისი?

იქნება მართლაც—საფრანგეთს ომი არც უნდოდეს, მაგრამ დაგლოვიარებული ელზასი და ლოტარინგია, განა მოასვენებს ოდესმე ფრანგის დაჭრილს გულს, ფრანგის დაჩაგრულ თავ-მოყვარეობას?

ძნელად დასაჯერებელია, რომ საფრანგეთს რუსეთთან კავშირის სარჩულად დაკარგულის პროვინციების დაბრუნების განზრახვა არა ჰქონდეს! მაშ ვისთვის არის საჭირო ამდენი ლაპარაკი მშვიდობიანობაზე? თუ ამით სამთა კავშირის გულის დამშვიდება სურთ ფრანგებს—ეს ცოტა არ იყოს შემცდარი აზრია და, თუ რუსებს უნდათ მოაჩვენონ თავი უანგარო მეგობრად—არც ეს არის ბეჯითი ანგარიში, რადგანაც დღეს უანგარობა ქვეყანაზედ აღარ არის და აღარავის არც სჯერა!

მართალია, ფრანგების მოწინავე კაცები იმასაც ამბობენ, რომ რუსეთთან მეგობრობა იმათთვის, გარდა პოლიტიკურის აზრისა, ეკონომიურ მხრითაც გამოსადეგია, და რამდენიმე საზოგადოება კიდევაც დაარსდა საფრანგეთში, რომ რუსეთში სხვა-და-სხვა საქმეები გამოიწყონ. ყოველი ესე უეჭველია, და ფრანგები სადაც მოახერხებენ, არ დაიშურებენ არც ნიჭსა და არც მეცადინეობას, ხელი მოითბონ, მაგრამ თავი და თავი მიზეზი ამდენის აღტაცებისა, საჩუქრებისა და პატივისცემისა—მაინც იგივე გამქრალის პრესტიჟისა და დაკარგულის პროვინციების დაბრუნება არის.

ამ შემთხვევაში, ჩვენ გვგონია, ბევრად უფრო ღირსეული და შესაფერი იქნებოდა დიდებულის ხალხისათვის ის ყოფილიყო წარმოთქმული, რაც უველა ფრანგის ნამდვილს ტკივილს შეადგენს.

„ყოველი განცხადებული—ნათელ არს!“

მეველე

## ახალი ამბავი

—

*** ჩვენ გვატყობინებენ, რომ მთაწმინდაში, თ. ლევან მელიქიშვილის პატივცემულის ქვრივსაგან დაარსებულ ქართველ ქალთა სასწავლებლის საქმე ძლიერ კარგად მიდისო. მოსწავლე ბავშვები მრავალი ჩნდება და პატრონთა მადლობასაც საზღვარი არა აქვს, რადგანაც მთაწმინდის ქალები აქამდის მთლათ უყურადღებოდ იყვნენ დატოვებულნიო.

*** სამშაბათს, 26 ოქტომბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ დანიშნულია კრება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა, რომელიც განიხილავს: 1) მორიგ საქმეებს; 2) მოხსენებას ბამბის და მატყლის გაგზავნის ტარიფის შესახებ; 3) აგრონომის ტიმოფეევის მოხსენებას ძირტკბილის მოყვანის შესახებ; 4) მოხსენებას ხილეულობის გამოფენის შესახებ.

*** დღეს, ოქტომბრის 24-ს, ნაშუადღევის პირველ საათზე აკურთხებენ ტფილისის მესამე კლასიკურ გიმნაზიის პანსიონს, რომელიც სოლოლაკში ე. ყორღანოვის სახლშია. პანსიონი 25 შეგირდისოვის არის დაარსებული, მაგრამ ეხლავე 32 შეგირდია მიღებული.

*** ახალციხეზე რკინის გზის შტოს გაყვანას გაზაფხულიდგან შეუდგებიან და ამიტომ ხუთშაბათს ინჟენერები მიდიან გზის გამოსაკვლევად.

*** ტფილისის ზოგიერთი ახალგაზდა ხელოსნები აპირობენ ქართულ სახელოსნო წიგნთ-საცავის დაარსებას და დაუმზადებიათ კიდეც ექვსასამდე წიგნი და ზოგიერთი ნივთი, წიგნთ-საცავის მოსაწყობი.

*** მამადავითის მღვდელს მამა ნ. მაჭარაშვილს განუძრახავს, დაბეჭდოს ხსენებულ ეკკლესიის აწინდელი და ძველი აღწერა და მამა დავითის ცხოვრება. ამ აღწერაში ხალხური ის გადმოცემული ამბებიც დაიჭერენ ადგილსაო, რადგანაც ამ ეკკლესიაზე ბევრი ამბებია ხალხში დაშთენილი.

*** პარასკევს, ოქტომბრის 22-ს, თათრის მოიდნის ახლოს შეითან-ბაზარში, საღამოს 9 საათზე ვიღაც თა-

## ფელეტონი

—

### ჯავახეთი

(ახალ-ქალაქის მაზრა)

მგზავრის შენიშვნები

შემდეგი *)

სოფ. კაჭიოში ბ-ნმა როსტომაშვილმა გადიღო ძველი ქართული ეკკლესია, სულ წითელი ქვით ნაშენი და თაღ ჩანგრეული. ზედ წარწერა მხოლოდ ასე იყო: „ქრისტე მოწყალე“. ეკკლესიის გარშემო სასაფლაოს ქვებ შორის ერთი ქვა ცხვარს—ყოჩს წარმოადგენდა და ზედ წარწერიდგან აღმოჩნდა, რომ ბერიძეს სასაფლაოზედ იდგა.—უწინდელ სასაფლაოებზე ძლიერ ხშირად შეხვდებით წითელის ქვიდგან გათლილს ორიგინალურ სასაფლაოს ქვებს, რომელნიც წარმოადგენენ ან მწოლარე ყოჩს, ან კიდევ მეომარ ვაჟკაცის საჯდომ ცხენს, რომელზედაც გამოქანდაკებულია ფარ-ხმალი და თოფიარაღი. თუ გარდაცვლილი გუთნის დედა ყოფილა, მაშინ პტყლად გათლილ ქვაზე გუთანია გამოქანდაკებული, რამდენისამე უღელ ხარ-კამბეჩით შებმული და სხვა-და-სხვა.

კაჭიოში ღამე ჩვენ სტუმართ-მოყვარე მასპინძელთან დავყავით. როდესაც ოთახების მოწყობილობა და კომფორტი წარმოგვიდგა წინ, თითქმის რომ უსაყვედურეთ ჩვენს მასპინძელს, ამისთანა ალაგას ასე ცხოვრობს, ან-კი რა აძლებინებს ამისთანა უხალხო ადგილას? ამაზედ გვიპასუხა ცნობილის სიტყვებით იულიუს ცეზარისა: სჯობს პირველობა სოფელში ქალაქში უკანასკნელობასაო.

ბ-ნ ქანანოვს, როგორც სამაგალითო მემამულეს, კედლები დამშვენებული აქვს სამის დოკუმენტით სხვა-და-სხვა დროს მიღებულით კავკასიის სამეურნეო საზოგადოებიდამ და კავკასიის გამოფენისაგან; 1, საპატიო დიპლომი II ხარისხისა საუკეთესო ქერისათვის, 2, ქების ფურცელი ფარდაგისათვის, 3, ქების ფურცელი სელის ზეთისთვის.

როდესაც ოჯახის მოწყობილებას ვათვალიერებდით, ძლიერ სასიამოვნოდ დაგვრჩა, მაგრამ ერთი რამ-კი შევნიშნეთ, ის, რაც ამ მაზრაში ყველგან დიდს ნაკლულევანებას შეადგენს. არამც თუ ბაღსა და ხილნარს, ერთ ხესაც ვერ იპოვით, რომ კაცმა დაღალული თვალი ზედ მოასვენოს. წყალი-კი სოფელ კაჭიოს ზედ შუაზე ჩამოუდის. ამაზედ აი რა გვიპასუხა ჩვენმა მასპინძელმა: სოფლელებთან ვერა გამიწყვია-რაო. მინდოდა ეგ წყალი ზემოდგან არხით ჩამომეყვანა, მაგრამ სოფელი არ დამეხმარაო. მინდოდა ჩემის ხარჯით სკოლა ამეშენებინა—სოფელმა ხელი არ მომიწყოვო, ახლა ალაგს ვსთხოვ, ჩემსავე ალაგს ნადელში მიზომილს, რომ ჩემის ხარჯით ეკკლესია ავაშენო სოფლისთვისაო და ალაგს არ მითმობენო. მაგრამ ხეხილის გაშენება კი ადვილად შეიძლებოდა.

სამწუხარო ის არის, რომ თითონ ხალხი არზრუმის ოლქიდგან არის გადმოსული და იმავ თავითვე მამა-პაპიდგან ჩვეულია ხრიოკ ალაგებს და მოტიტვლებულ ბუნებას და აქ რომ გადმოსულა, არამც თუ თითონ გაუშენებია რამე, რაც ყოფილა ხე და ტყე, ისიც-კი ძირიან-ფესვიანად ამოუგდია. ბ-ნმა ქანანოვმა გვიამბო, ჩემს ყმაწვილობის დროს თვითონ მე მინადირია სამსარის ტყეებში ირემზე და დათვებზედაო და სანავე ხეები, ვინ იცის, რამდენჯერ გვიჭრიაო. თურმე უწინ მთავრობა ყურს არ უგდებდა აქაურ ტყეებს და ხალხი ხომ მოგეხსენებათ, ჯერ იქნობამდე შეგნებული არ არის, რომ თვითონ გააკეთოს რამა და მიხვდეს რასმე, მიჰყოლია და, სადაც კი ტყე ყოფილა, სულ სახნავებად გაუჩეხიათ და ძირიანად ამოუგდიათ ხეები და ბუჩქები. ეხლა კი ძლიერ ეპატრონება სახელმწიფო ქონებათა უწყება, მაგრამ გვიანღაა: სანამ პავლე მივიდა, პეტრეს ტყავი გააძრესო.

მეორე დილით შევუდექით ისევ გზას—ქალები ურმით და კაცები—ცხენებით. კოჭიოდგან უნდა წითელ საყდარს—(ბორჯომის მთაზე) ავსულიყავით. გზად შეგვხვდა სოფლები: ალათუბანი, ბალანთა, ბეჟანო და ჩიხარულა. აღმოჩნდა რომ ჩიხარულამდე (მთის ძირასაა) კიდევ შეიძლებოდა რაიმე ეტლით მოგზაურობა, მაგრამ ჩვენის ქალებისთვის ისევ მეფე ერეკლეს ფაეტონი ვირჩიეთ, რადგან ჩიხარულს ზევით საკალიასკო გზა სრულებით აღარ არის. რადგან ორშაბათი დღე შეგვხვდა, მინდვრებში გაცხარებული მუშაობა იყო. ზოგი ყანას სთიბდა, ზოგი ბულულებად სდგამდა და ზოგი საძნე ურმით შინ მოეზიდებოდა. ჩვენ გაგვიკვირდა, ზოგან პურის თავთავი ჯერ მომწვანოთ ბიბინებდა და ეს როდის-ღა უნდა გათიბონო. აქ ყანის მკა არსად არ იციან, რადგან ისე მაღალი არ იზდება ყანა როგორც ჩვენშია და ბზე-კი ძრიელ საჭიროა. საკვირველია ან-კი როგორ ასწრობს პური შემოსვლას,—ანეულები და შემოდგომით თესვა აქ იშვიათად იციან და ყველანი-კი დიკას სთესვენ გაზაფხულობით და მაისში ძლივს ათავებენ ხოლმე თესვას. როგორც ზევით ვსთქვით, თუმცა ვერც ერთ მაღლობს და მთას ვერ იპოვით, რომ წყაროები და წყლები არ გადმოჩუხჩუხებდენ, მაგრამ ყა-

*) იხ. „ივერია“, № 227.

თარმა მოჰკლა ზარაფი ვართან კირაკოზოვი, რომელიც თურმე ხალათოვის ქარვასლაში მიდიოდა. მკვლელს ჰგონებია, ზარაფს ბევრი ფული აქვს ზედ და თურმე მისი გაძარცვა სწადდა. საბრალო კირაკოზოვს მკვლელმა ბებუთი მარცხენა ძუძუს ცოტა ქვეით დაჰკრა. მკვლელს გაძარცვა არ დასცალდა, რადგანაც ამ დროს ბაზარში ბევრი ხალხი მიდი მოდიოდა და დუქნებიც ჯერ ღია იყო. კირაკოზოვის მოკვლის შემდეგ ავაზაკი მაშინვე გაიქცა და ჯერაც პოლიციას ვერ აღმოუჩენია.

⁂ სასამართლოს გამომძიებელმა დრაგნევიჩმა ორმოც-და-ათი თუმანი დაუნიშნა საჩუქრად, ვინც იპოვნის ებრაელ რაშკევიჩის გვამს. ბ-ნმა დოლანოვმა პოლიციმეისტრის და სასამართლოს გამომძიებლის თხოვნისამებრ ბევრი ეძება მდ. მტკვარში რაშკევიჩის გვამი, მაგრამ არსად არ აღმოჩნდა.

⁂ დიდი ხანია, რაც სომხურ გაზეთ „არძაგანკში“ ფელეტონებად იბეჭდება წერილები: სომეხთ კათალიკოზების ისტორიის შესახებ. ალ. ალ. ერიცოვისა. ერიცოვი ამ წერილებში ბევრს ისეთ ამბებს სწერს, რაც საქართველოს გარემოებასაც შეეხება 1880—1835 წლამდე.

⁂ პეტერბურგის გაზეთები იუწყებიან: საერო განათლების სამინისტროს მსჯელობა ჰქონია შესახებ იმისა, რომ ოდესის უნივერსიტეტში დაარსდეს სამკურნალო ფაკულტეტი. ეს მსჯელობა გამოიწვია ოდესის ქალაქის საბჭოს თხოვნამ. იმედია, რომ სამინისტრო ამ თხოვნას შეიწყნარებს.

⁂ „შარაძისა და ამხანაგობის“ სტამბას მოუვიდა ბ-ნ ფილიმონ ქორიძისაგან ბ-ნ ანტონ დუმბაძისა და იმის შვილის მ. დავით დუმბაძის დახმარებით ნოტებზე გადაღებული შემდეგი საგალობლები: 1) „ჰირსა ჩემსა შეისმინე“; 2) „უდაბნოს მყოფთა ცხოვრება მარადის თავის დიდება აწდათი“; 3) „წმიდისა სულისა დიდება და პატივი“; 4) „აქებდით“ (საცისკრო); 5) „აქებდით სახელსა უფლისასა“; 6) „დიდება მაღალთა შინა“, თავის უფალო შესავედრებელით, წმიდაო ღმერთოთი და ტროპარით დღეს ცხოვრებისა; „7) აკურთხევს სული ჩემი უფალსა“ და 8) „ყოველი სული აქებდით უფალსა“.

⁂ თიანეთი, 19 ოქტომბერი: ჩვენის მაზრის მოსაზღვრე ქისტებმა საქმე გაგვიჭირეს ქურდობითა და ავაზაკობით, მეტადრე ხილდიხარის ხეობაზედ მცხოვრებმა ქისტებმა სიცოცხლე გაგვიმწარეს.

ამ ბოლოს დროს მოლანლოელებიც ქურდებიც შემოგვეჩვივნენ.

აუცილებლად საჭიროა ყურადღება მოგვაქციოს, ვისიც ჯერ არს.

---

## დამაკვირდი

ვისაც ბევრი ნაცნობი ჰყავს, იგი მოგვაგონებს მეწვრიმალე ვაჭარს, რომელიც დიდად ცოდილობს და სარგებლობა-კი ცოტა აქვს.

კნიგე

**

ზოგი ადამიანი მცენარეს ჰგავს, ზოგი—პირუტყვს და ზოგი კიდევ ემსგავსება უზენაესს არსებას.

ჟან პოლ

**

ცხოვრება ტრაგედიაა იმისთვის, ვინც ჰგრძნობს, ხოლო კომედიაა—ვინც ჰფიქრობს.

ვალპოლ

---

ჩვენ მოგვივიდა ახალი წიგნი: „ლექსნი“, თქმულნი მიხეილ გორდაძის მიერ. მოგვყავს ამ წიგნიდგან ერთი ლექსი ამოურჩევლად.

### ჩიტი

—

ნეტავი ჩიტსა ბედნიერს:
დაჰფრინავს თავისუფლათა,
ამ სოფლის სევდა ნაღველი
მას არ აწუხებს სრულათა!
ქვეყანა თვისი ჰგონია
ათას-ფრად აღყვავებული,—
ხელის შემშლელი არვინ ჰყავს,
გარს უვლის გახარებული.
რა გათენდება დილაი,
ქვეყანას უვლის ფრენითა,
და თავის საზდო საკვნსა
ყველგან შოულობს მღერითა.
მაგრამა კაცი უბედო
ამებს მოკლებულია,
და თითქოს ტანჯვისათვისა
გზა-ხიდად გადებულია!
ნეტავი ჩიტსა ბედნიერს:
ფიქრი არ იცის სრულათა,
ქვეყნისა ოთხივ კუთხეზა
დაფრინავს თავისუფლათა!
1885 წ.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

—

გაზეთ „კვალის“ უკანასკნელს ნომერში სწერს ბ-ნ ხომლელი თავის კრიტიკის დასაწყისშივე, რომ განსვენებული ი. დავითაშვილი ხარატი იყოვო. ნება მიბოძეთ, შევნიშნო, რომ ი. დავითაშვილი ხარატი-კი არა, ჩუქურთმის მჭრელი იყო. ამ ორ ხელობათა შორის დიდი განსხვავებაა.

ტეხნიკოსი გრ. თოიძე

---

## კორესპონდენცია

—

**დ. ლანჩხუთი**, 20 ოქტომბერი: ამას წინად დათიკო ვერმიცაშვილი ამბობდა „ივერიის“ ფურცლებზე, რომ ეხლა გურიაში მამასახლისების ამორჩევის დროა და იმედია, ჩვენი გლეხ-კაცობა დიდის ყურადღებით მოეკიდება ამ საქმეს და მამასახლისებად ისეთებს ამოირჩევენ, რომელნიც სასარგებლონი იქმნებიან საზოგადოებისთვისა, რადგან მამასახლისებს ბევრი საკეთილო საქმეების გაკეთება შეუძლიანთო.

რა თქმა უნდა, ეს მართალია, რომ მამასახლისს ბევრის სიკეთის მოტანა შეუძლია, თუ მოინდომებს, და ჩვენი გლეხკაცობაც საზოგადოდ ყურადღებით ეკიდება ამორჩევას, რადგან ჰხედავს, რომ ხუმრობა არ არის ერთის კაცის გაბატონება სამის წლის განმავლობაში.

ამ ოქტომბრის თთვეში იყო რამდენჯერმე სასოფლო სასამართლოსთან ლანჩხუთის მკვიდრთ ყრილობა მამასახლისის ამორჩევისათვის, ხალხს ყოფილი მამასახლისი არ უნდოდა— რათა? ადვილი მისახვედრია—და სურდა მისი გამოცვლა, მაგრამ ასეთი სურვილი, როგორც აღმოჩნდა, ადვილი შესასრულებელი არა ყოფილა, რადგან მამასახლისს მფარველები აღმოუჩნდნენ, რაც ბედის წერას დაუკავშირებია ერთად სამი პირი, და ჩვენ ამის მეტს არას ვიტყვით: „მზგავსი მზგავსისათანა განისვენებს“... ამ ძლიერმა „სამთა-კავშირმა“ ის ნაყოფი მოიღო, რომ საზოგადოებას პირში სიტყვა ჩაუწყვიტა და ძველი მამასახლისი არ გამოაცვლევინა. მამასახლისს მაინც იმდენი გაბედულობა და გამოცდილება დაურჩა, რომ „სამთა კავშირის“ მოთხოვნით საჭირო ქაღალდზე ხელი არ მოუწერა და ამ ნაირად, ფორმალური საფუძველი არ მისცა ძველის მამასახლისის დასამტკიცებლად. და რომ ეს დაბრკოლება როგორმე დაეძლიათ, საჭიროდ დაინახეს—სამჯერ მოეხდინათ გლეხთა ყრილობა, მაგრამ შეუბრალებელმა საზოგადოებამ სამჯერვე უარი უთხრა ძველს მამასახლისს: ეხლა დაღალული ხარ და დაისვენეო... მაგრამ ერთმა დახელოვნებულმა აზნაურმა, „სამთა კავშირის“ წევრმა თვისი ხერხი და ხელობა იხმარა და მეორე დღისთვის საჭირო ხელის მოწერა შეაგროვა. თურმე ნუ იტყვით, ღამით უვლია კარ-და-კარ მამასახლისის თანახლებით და სხვა-და-სხვა დაპირებათა წყალობით, თითოეულ ოჯახიდგან ორ-ორ და სამ-სამი კაცისთვის მოუწერინებია ხელი.

უგვარო

—

**ს. ახალგორი** (დუშეთის მაზრა). ეს მეათე წელიწადია ს. ახალგორში არსებობს სკოლა, და მთელ ამ ხნის განმავლობაში ჰყავდა ერთად ერთი მასწავლებელი ს. ი. გაბელაშვილი; დღეს სამოსწავლო მთავრობის განკარგულებით ბ-ნ გაბელაშვილი გადაყვანილ იქმნა ს. საგარეჯოში. პატივცემულმა ახალგორის საზოგადოებამ ღირსეულად დააჯილდოვა გაბელაშვილის ცხრა წლის შრომა: 19 ენკენისთვეს ამ 1893 წ. ადგილობრივმა ბოქაულმა თავ. კ. რ. შალიკაშვილმა, თ. გ. დ. ერისთავმა, ადგილობრივმა მღვდელმა მამა პანტელეიმონ გედევანიშვილმა და სხვებმა გაუმართეს ბ-ნ გაბელაშვილს გამოსამშვიდობებელი ვახშამი. ვახშამზედ ბევრი სიტყვა ითქვა ბ-ნ გაბელაშვილის ენერგიულ შრომასა და მეცადინეობაზედ სკოლისთვის და იმის ყველასთან ძმურ-მეგობრულ უწყინარ ცხოვრებაზედ. სკოლა რიგიან შენობაში არ არის მოთავსებული: წვიმის დროს მასწავლებელს ქოლგა ეჭირა თურმე ხელში და ისე ასწავლიდა. შემდეგ მასწავლებელი გადავიდა ნაქირავებ სახლებში.

დღეს საქმე ისეა მოწყობილი, რომ სკოლას ადვილად შეუძლიან აიშენოს საკუთარი შენობა და ის თხუთმეტი თუმანი, რომელსაც დღეს იხდის ქირად, თვითონ მოიხმაროს სხვა საჭიროებისათვის. თუ სხვისათვის ძნელი საქმეა სკოლისათვის შენობის აშენება თავის თავ-შესაფარებით, ეხლა სოფლებიდგან მოსიარულე ბავშვებისათვის, ახალგორისათვის გაადვილებულია, იმიტომ რომ ყოფილან და არიან ისეთი გულ-შემატკივარნი, რომელთაც მხურვალე თანაგრძნობა გაუწევიათ და სწევენ სკოლისათვის სიტყვით და საქმით. ერთი ამ ნაირი სკოლის გულ-შემატკივარი არის ქსნის ბოქაული თავ. შალიკაშვილი, რომელმაც აღმოაჩინა სკოლისათვის ადგილი, შეადგინა გეგმა შენობისა თავის ხარჯთ-აღრიცხვით და გაუგზავნა თბილისის გუბერნიის საერო სკოლების ინსპექტორს ბ-ნ პავლოვს. იმედია, რომ თ. შალიკაშვილის შრომა ტყუილად არ ჩაივლის და ინსპექტორი ამ საქმეს არ მიაყრუებს და მალე ნებართვას აიღებს, ვისგანაც ჯერ არს, შენობის ასაგებად.

მ. გ—ო—გ—ძე

---

## პასუხად „ძირითად ფილოლოგს“

მოკლედ რომ მოვსჭრათ, გ. წერეთლის საკამათო წერილებიდგან ერთი აზრი ვამოდის: „თქვენ ბალანეებო, ბავშვებო არაფერი იცით და მე ყველაფერი ვიციო“. ამინ იყავნ სიტყვანნი შენნიო, ვიტყოდით ჩვენც, თუ ამ „ბევრისა“ და „ყველაფრის მცოდნეს“ ნაწერები არა გვქონოდა გადაშინჯულ-წაკითხული. ხოლო ეს გადაშინჯვ-წაკითხვა გვარწმუნებს, რომ „ყველაფრის მცოდნეს“, სამწუხაროდ ბევრი რამ ჰკლებია და უმთავრესად-კი ის, რასაც იგი ეძახის „ძირიდათ ფილოლოგიის კანონებს“. და თურმე, მისი თქმით, ამ კანონების ძალით „ნათესაურ ენებად

---

ნებს აქ არსად არა რწყვენ. ქერისა და პურს გარდა აქ მოჰყავთ სელი და მთელ მაზრაში ხუთგან-ექვსგან არის გამართული სელის ზეთის საქაჯავი ქარხნები. აგრეთვე სთესვენ შვრიას და შვრიით და სელის კოპტონით ასუქებენ ზამთარში საქონელს ყასბებისთვის მისასყიდლად. ს. ჩიხარულში კალოობა გაჩაღებული იყო, მზე საკმაოდ უგზავნიდა მშრომელს თავის გახურებულ სხივებს და ჩვენ ქალებსაც გულმა არ გაუძლო „კალო უნდა დავძლიოთო“.

შენიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ამ აზრუმის ხალხმა არ იცის ჩვენ ქართველ ხალხივით სიმღერა. ქართველი კაცი ჰხნავს—მღერის, მკის—მღერის, მოეზიდება—ურმულს აკაკანებ-არაკრაკებს, კალოს ჰლეწავს და სიმღერას დასძახის. ყოველ შემთხვევისთვის კილოც სხვა აქვს სიმღერისთვის და სიტყვებიც. მაგრამ ეს ხალხი-კი მუნჯობს და საკვირველად შრომობს და, თუ სასიმღეროდ ხმა ამოიღო, იმასაც თათრულად დაიძახებს რასმე და ეს „ამან, ამანი“ სულ არ უხდება პატიოსან მშრომელს. თათრების გავლენა და ბეჭედი ასე დიდია ამ ხალხზედ. თუმცა 63 წელიწადზე მეტია რაც გადმოსახლდენ, მაგრამ ეხლაც ბევრს შეხვდებით ამ სომხობაში, რომელიც სიკვდილამდე არ მოიშორებს თავიდგან ოსმალურ ჩალმას და განიერ შალვარს. ოჯახებშიაც ზდილობა და ეტიკეტი,—უფროს უნცროსობაც ჯერ ისევე თათრული აქვსთ.

ჩიხარულადგან გზა აყუდებულ აღმართს მისდევს. ქედზედ რომ ავედით, ცივმა ნიავმა დაუბერა და შორით გამოჩნდა ტაბიწყურის (ტაბისყურის) ტბა. გზაში დიდი მოძრაობა იყო, თითქმის განუწყვეტლად გვხვდებოდნენ თივით დატვირთული საძნე ურმები. საკვირველად აქვთ ეს ურმები მოხერხებული—ისეთ აყუდებულ მთის ფერდობზე, აღმა-დაღმა, უგზო-უკლოდ გაატარებენ, რომ კაცი განცვიფრდება. მოდი ეხლა ამათ და ახალი რამ სისტემის ურმები ურჩიე და ისიც რკინით გაწყობილი. ახალ რამეს, თუნდ კარგიც იყოს ეს ხალხი არ ითვისებს. ბევრჯელ მიგვიქცევია ყურადღება შემდეგის გარემოებისთვის დუხაბორების სოფ. ბაღდანოვკას და სომხის სოფელს ხოჯაბეკის შუა მხოლოდ ერთი პატარა წყალი ჩამოდის, რომელშიაც ქათმები ფონს გადიან და მხოლოდ ეს წყალი აშორებს ამ ორ სოფელს ერთმანერთს.

დუხაბორებს კალოს ნაპირზედ ერთი ბოძი უდგიათ, ამ ბოძს გარდიგარდმოთ ხე აქვს ლურსმით მიჭედილი, რომელიც მკლავივით არის გამოშვერილი. ამ მკლავს რკინის რგოლი აქვს მიჭედილი. როცა პურს გალეწვენ და გაანიავებენ, ხვავს კალოს პირს მისწევენ, ერთ დიდ ცხრილში (ცხავში) ცოტ-ცოტაობით ჩაჰყრიან ხოლმე და ოთხ კუთხეზედ თოკით მობმულს ჩანგლით იმ ბოძზედ ჩამოჰკიდებენ და მერე გოგობიჭობა მიდის და ხელის კვრით აქანებს და აცხავებს. როცა პური სრულებით გავა, მაშინ უყვირიან დედმამას, ისინი მოდლენ, ჩაუყრიან ხვავს და ბავშვები 10—12 წლისა აცხავებენ. ამ გვარად გოგო-ბიჭობის თამაშით მთელი ხვავი იცხრილება. მგონი რო აშკარაა სიადვილე ამ ხერხით გაცხავებისა, მაგრამ აქვე სომხის სოფელში-კი ისევ ჩვენებურად, ძველებურად ერთ-ვაჟკაცს ცხავი უჭირავს და იქნევს, მეორე კიდე უმარჯვებს, ნიჩბით უყრის. ამ გვარად ორი ვაჟკაცი სცდება, იწყვეტენ მკლავებს და საშინლად იღალებიან.— მაგრამ იმავე დროს სომხებმა დუხაბორებიდგან გადიღეს ფურგუნების ხმარება და ეხლა მრავალნი დადიან ფურგუნებით ქირაზე და იმავე დუხაბორებს მეტოქობას უწევენ. ზოგიერთ სოფლებშიაც დუხაბორული (რუსული) ფეჩები (ფურნე) შემოიღეს და პურს თონეებში აღარ აცხობენ.

რამდენადაც კუს ნაბიჯით ჩვენი ურემი წინ მიჰქიალებდა, იმდენად ტაბიწყურის ტბა უფრო და უფრო გამოჩნდა. აქეთა ნაპირზედ ტბასთან მდებარეობს სოფ. მოლითი; თუმცა ახლა ამ სოფელშიაც სომხობა ცხოვრობს, მაგრამ აშკარაა ან აქედგან გადასულან იმერეთის მოლითში ან იქიდგან აქ. ბ-ნმა როსტომაშვილმა ყველა სოფლებში, რომელნიც გზათ მხვდებოდენ, ძველი ეკკლესიები დაშინჯა, მაგრამ ზედ წარწერა ვერსად ჰპოვა, რადგან დროთა ვითარების გამო ნანგრევები დამარხულან, ან, ვინ იცის, ამ სოფელში რომელ სახლის საძირკვლად იხმარეს ზედ წარწერიანი თლილი ქვები. სოფ. მოლითს რამდენისამე ვერსით რომ გავცილდით, ტბა სრულებით გამოჩნდა და აქვე მარცხნივ მთის მაღლობზედ დავინახედ საზაფხულო ფარდულები, სადაც ხემწიფის შვილი დიდი მთავარი გიორგი ყოველ ზაფხულს რამდენსამე კვირაობით სცხოვრობს ხოლმე თავის ამალით. ეს ზღვის ოდენა ტბა, შემოზღუდული ათას გვარ სახის უზარ-მაზარ მთებით და გრილი სალის მთის ჰაერი, მართლად რო სახარბიელოა ჯანის სიმრთელისთვის. ჩვენმა ურემმა ბევრი იჭრიალა, ბევრს ხიფათსაც გადარჩა, რადგან ამ აღმართიან, გვერდელა ვიწრო გზაზე, წამ და უწუმ თივის ურმები გვეხიდებოდა, მაგრამ მაინც მშვიდობით მოგვიყვანა სოფ. წითელ საყდარს (ყიზილქილისა).

ილ. ალხაზიშვილი

(შემდეგი იქნება)

ითვლებიან ის ენები, რომელთაც სიტყვის ფესვები საერთო ჰქონიათ“.

ჩვენ-კი გვეგონა და დარწმუნებულნიცა ვართ, რომ ენათა ნათესაობა გამოიხატვის არა მხოლოდ ფესვთა ერთობით, არამედ მათ (ენათა) გრამატიკებრივ კანონების იგივეობა—მსგავსებით; ენანი ნათესავნი და მონათესავენი არიან, როდესაც ბრუნვათა დაბოლოებანი, ზმნის უღვლილების წესნი, სიტყვათა წარმოების სახსარნი და სხ. ერთნი ანუ ერთნაირნი არიან. ენათა მეცნიერების თქმაც ეს არის, რომ ჯერ გრამატიკებრივ კანონების მსგავსებაო და მერე ლექსთა ფესვ-ძირნიო.

წერეთელი ჩაჰკირკიტებია შლეიხერს, იმ შლეიხერს, რომელმაც ნიჭიერად გამოიკვლია მონათესავე არიულ ენათა ფესვნი და მისი მიხედვით საცა რამ გარეგნულად მსგავსნი სიტყვანი შეხვდებიან, ამტკიცებს, რომ იგინი მონათესავენი არიანო. მისი თეორიით, მაგ., სიტყვები пять, pente და ქართული ხუთი მონათესავენია და, რომ ამ სიტყვების მონათესაობა უფრო ცხადად დაანახვოს მკითხველებს, სიტყვაში ხუთი ჩაუსომს ასო ნ და გამოუყვანია ხუნთი და თანაც გვარწმუნებს, რომ მეგრელები ასრე ამბობენო[1]). ჯერ ერთი, რომ მეგრელებიც ხუთს ამბობენ, და არა ხუნთს. და მეორეც ესა, რომ თუ „ხუნთი“ იგივ pente-ა (პენტე), მაშ „ხუნდიც“ მათი მოძმე იქნება!

გარდა იმისა, რომ წერეთელს არა სცოდნია „ძირითადი ფილოლოგის კანონები“, არა სცოდნია თვით ქართლოსიანთა ენაც. ესეც იქიდგან მტკიცდება, რომ მისს ნაწერებში გვხვდება ამისთანა „კანტები“ და იკლიკანტურები.

ერთს თავის ფილოლოგიურ წერილში იგი სწერს: „ქართული, იმერული, კახური, გურული არიან ქართული ენების (?!) დიალექტებიო“ [2]). აი განსხვავებაც: ბრწყინავს (იმერულად), ბრჭყვინავს ქართულულად (დაიხსომეთ ეს ქართულული!). თურმე ეს ყოფილა დიალექტი „ქართულული ენებისა!?“ ავშენებულვართ ქართველები. აი დათვალეთ: ჭიანჭველა, ჟ.ანჭველა, ჭინჭველა, ჯინჭველი, ჭინჭველი—ეს ხუთი დიალექტი! მრგვალი, რგვალი, გრგვალი, მგრგვალი, მურგველ (სვანურად)—ესეც ხუთი!! ერი ჰაა!! რაღას ვემდურით სხვებს, შინვე გვყოლია საკუთარი ბრამბეუსი!

გეხსომებათ გ. გორისელი, მეყვისი გ. წერეთლისა. იგი ერთს თავის წერილში ამტკიცებს ასო გ იცვლება ჯ-დო და ამის მაგალითიც მოჰყავს ესეთი: გიორგაძე-ჯორჯაძე, დაგორგილი-დაჯორჯილი; აგრეთვე ვაჟი—ვაზი; ჯოჯო—ძოძო („კრებული“ № 7). მიკვირს გორისელს მუმუ და ნ..ნძი რაღად დავიწყებია. ალბად ვაზნა და ვაზირი-ც იმავე ვაჟს უდრის!

ამ ნაირადვე ჭიშკარი თურმე ჭოჭკარია და ჭოჭკარი-კი ერთი ძირისა და ერთი მნიშვნელობისაა სიტყვებთან ძურ, თორ, ტორ, დარ, დრერ („დროება“ 1880 წ. № 19). აქაც დავიწყებია ჩვენებური ტარი, ტარო, ტოროლა, ძურძუკეთი, თორნე, ძურნა და სხ.

[1]) იხ. „კრებული“ 1872 წ. წიგნი მეშვიდე.

[2]) იქვე.

მისივე თქმით (დროება 1880 წ. № 19) თურმე დერბენდი ანუ, „ვირ-ფარახი“ ნამდვილად უნდა ყოფილიყო „ივრი-ფარი“, ე. ი. „ივერიის ფარი“. რაღა თქმა უნდა „ივერის ფარეხიც“ ვირაფარახიდგან წარმოსდგება და თუ გნებავთ, შირაქფარეხებიც კამბეჩოვანითურთ!!.

თურმე გორისელის თქმით „ასო Ⴖ ცალკე ხმათ არასოდეს არ დაისმოდა უწინ“ (კრებული 1872 წ. № 7). ძირითად ისტორიის მცოდნეო, მაშ რათა სწერია ქრისტႶ, ძႶ, მႶ, ცხორႶბა, მႶფႶ?

იგივე წერეთელი გვარწმუნებს, რომ ლიხი, ლიგანი ნიშვნენ კიდეს და მათ უდრის litus, ripa, rive და რიყე, რომ ვითომ სვანურად ყოველ მდინარეს ჰქვიან რიონ. ჯერ ერთი რომ სვანები ამბობენ რივენ და არა რიონ და მეორეც, რომელ ლექსიკონში სწერია, რომ ვითომ რიყე იყოს კიდე? არ გიკვირთ, რა ჯადოქარი ყოფილა ეს ძირითადი ფილოლოგია. თ ვლს აზავებს ცეცხლთან და რწყილს აქლემს აშობინებს!

აღარ ჩამოვთვლით წერეთლის ფილოლოგიურ მეცნიერებას, რომელსაც Plebs-მა სამართლიანად უწოდა „ფილოლოგიური ოფოფები“. მხოლოდ აქვე დავსძენთ, რომ ნიჭიერმა ნ. ნიკოლაძემ[3]) დასაწყისშივე გამოსთქვა ფრიად ჭეშმარიტი აზრი შესახებ წერეთლის ცოდნა-მეციერებისა. მან სთქვა, რომ უმთავრესი ნაკლი წერეთლისა ის არისო, რომ იგი თავის დასკვნებს ამყარებს არაკებრივს ამბებზეო; მას ვერ შეუთვისებია გრიმმისა და ბოპპის ნაწერებიო და ამტკიცებსო, რომ „პიხილინს“ (пихилинсъ), „პეხინს“ (пехинсъ) ქართული სიტყვააო და ვითომ ნიშნავს ფეხის-გზასაო; სადმე რომ შეხვდეს махеланъ-ი მოხელე ჰგონიაო და სხ.

ალბად ამავე მეთოდის ძალით წერეთელი არ არჩევს ძმის წულს ბიძის წულის წულისაგან და ქართველთ მეფეს სომეხთ მეფისაგან!

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი საკვირველი თვისებაც, რომელიც სჭირებია ჩვენს გალაღებულს მეცნიერს. ერთსა და იმავე საგნის შესახებ და ერთსა და იმავე დროს ჭ.ოსაც ამბობს და ა.ასაც. აი მაგ., წერეთელი ჯერ ხომ ამტკიცებდა, რომ აბსარი მკვდარი სიტყვაა მკვდარი ენისაო, რომ იგი უნდა მოეგონათ მე-XVIII-ე საუკუნის ისტორიკოსებსაო. ახლა „კვალის“ უკანასკნელ №-ში, როდესაც ჩვენი წერილებიდგან გაიგო, რომ აბხაზები თავის თავს აბსუა-ს ეძახიანო, გვეუბნება: „აბსარი არის მრავლ. რიცხვი სიტყვისაგან აბსუა სვანურის ენითაო“. გაგონილა?! მკვდარი სიტყვა მკვდარი ენისა ახლა წერეთელმა გააცოცხლა!

ამ ნაირადვე იგი ჯერ ამტკიცებდა, რომ ლაშა უდრის რუსულს ლუჩსო, მერე სთქვა, რომ სიტყვა რუსული დრევლიანად უნდა იგულისხმოთო! (აფერუმ!).

ტყუილად-კი არ დამღერის გულთა-მხილავი აკაკი ამ გვარ ორჭოფად მწერალ ვილაც გიორგის შესახებ:

გიორგი ჩვენში ყველაზედ
უფრო შრომის მოყვარეა,
მაგრამ მისი ნაწერები
სხვა-და-სხვაა, ორგვარია:
ერთი ნიჭიერი არის,
მეორე-კი ზღაპარია!

[3]) აკაკის თხზულებანი ტ. I.

მგონია, თუ იმ ერთს კაცსა
ორი თავი აბარია,
როცა ერთი გამოჩნდება,
მეორე ჩრდილს აფარია[4]) და სხ.

მართლაც რომ ჩვენი „ლუჩოსანი“ ფილოლოგის ნაცოდვილარიც ზღაპარია და ჩმახია, რომ მისი ფილოლოგიური მეთოდები სიტყვათა წარმოებისა სხვა არა არის-რა, რასაც გვეუბნება თქმა: „დედალი უწინარეს შეიქმნა, თუ კვერცხი?“

ამით ვათავებ ყოველ გვარ კამათს წერეთელთან ამ საგნის შესახებ.

მ. ჯანაშვილი

[4]) იხ. თხზულებანი აკაკისა, ტ. I, გამოც. ამხანაგობისა

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

„Рус. Вѣд.“-ის ფელეტონისტი ბუკვა სწერს:

ჩვენმა გაზეთებმა სრულიად გააფუჭეს რუსული ენა. ამას წინად პროფესორმა მოდესტოვმა ამ საგნის შესახებ დაბეჭდა დასაბუთებული წერილი. პატივცემული მეცნიერი ძლიერ დიდ ყურადღებას აქცევს წერას. მას ძლიერ სწყინს, რომ რუსული-ჟურნალ-გაზეთები სავსეა გრამატიკულ შეცდომებით. ამასთანავე იგი წინააღმდეგია რუსულ მწერლობაში უცხო ენიდგან გადმოღებულ ისეთ სიტყვების ხმარებისა, რომელიც სრულიად არ არის საჭირო. მართლაც ისე ხელში ვერ აიღებთ რუსულ გაზეთს, რომ გრამატიკულ შეცდომით სავსე წერილები არ შეგხვდეთ, ან კიდევ მრავალ უცხო სიტყვებით აჭრელებული. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენმა რეპორტერებმა კარგი წერა არ იციან. «Figaro-ს», ანუ „Daily News“-ის რეპორტერი საკმარისად არის განათლებული. ამერიკის რეპორტერები უფრო მაღლა სდგანან განვითარებით. იქაური სამი რეპორტერი: ბილლ ნაი, ჯონ ინგოლსი და ფრანც კარპენტერი იმავე დროს ცნობილნი ჟურნალისტებიც არიან.—ჩვენში-კი რეპორტერებს ძლიერ ბევრი რამ აკლიათ. რეპორტერს ძლიერ ცოტა ფულს აძლევენ და ვინც მოსკდებათ, იმას მიიწვევენ ხოლმე. გაზეთის თითქმის ერთი მესამედი-კი რეპორტერების-მიერ დაწერილ ამბებს უჭირავს და ამიტომ არც გასაკვირველია, რომ გაზეთში აუარებელი შეცდომაა ხოლმე.

## რუსეთი

რუსეთის გაზეთებს შეუტყვიათ, ვითომც სახელმწიფო საბჭო ამ მცირე ხანში შეუდგება იმის განხილვას, თუ რამდენად მავნებელია გლეხთათვის საერთო მიწის მფლობელობა და საჭიროა მისი მოსპობაო.

ამბობენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ პროექტის გამო იმის შესახებ, რომ არ შეიძლებოდეს გაყიდვა გლეხთა ნადელებისა,—რომელი პროექტიც მოწონებულ იქმნა თითქმის ყველა სამინისტროებისაგან,—საუფლის წული მამულთა სამინისტრო იმ აზრს დაადგა, რომ საერთო მიწის მფლობელობა უნდა მოისპოსო.

გრაფ ი. ი. ვარანცოვ-დაშკოვმა თავის ვრცელ პასუხში პირდა-პირ გამოაცხადა, რომ საერთო მიწის მფლობელობის ბრალია ყოველი სამწუხარო მოვლენა სოფლის ცხოვრებაშიო.

ამავე აზრს დასდგომია მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ხ. ბუნგე. მაგრამ საპუთიანი წინააღმდეგობა გამოუცხადებიათ სხვა უწყებათა წარმომადგენელთ, რომელნიც მხურვალედ და ბეჯითად ამტკიცებენ საერთო ფლობელობის საჭიროებას.

როგორც ამბობენ, ამ ჟამად შინაგან საქმეთა სამინისტრო ამზადებს ახალ პროექტს. ამ პროექტის შემუშავება საჭიროდ უცვნია სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტებს, როდესაც საერთოდ ჰქონიათ მსჯელობა გლეხთა შორის ერთმანეთში საერთო მიწის განაწილებაზედ. სახელმწიფო საბჭოში წარმოთქმულია აზრი, რომ ამ განაწილების საქმის რიგიანად მოწყობა საკმარისი არ არის, რომ მავნებელია თვით საერთო მიწის მფლობელობა და ამის გამო უმჯობესია სრულიად მოისპოს ამ გვარი წესი და მიწა ყველა ოჯახს ნაწილ-ნაწილად დაურიგდესო.

—

შემდეგ-კი აღარ შეიძლებოდეს არც გაყიდვა, არც გაყოფა და განაწილება ოჯახისა. წევრთაშორის, არამედ მთლად საოჯახო მიწა უნდა მემკვიდრეობით გადაეცეს მამისგან შვილს, მაიორატულისა ანუ მინორატორის წესით (უფროსსა ანუ უნცროსს შვილს). საჭიროა წესი მიწის მფლობელობისა ისე შეიცვალოს, რომ გლეხთა ეხლანდელ მოთხოვნილებას ეთანხმებოდეს.

რაკი სახელმწიფო საბჭომ ეს აზრი წარმოსთქვა, შინაგან საქმეთა სამინისტროც შეუდგა ახალ კანონპროექტის შემუშავებას, რომლითაც უნდა ძირეულად შეიცვალოს გლეხთა-მიერ მიწის მფლობელობის წესი.

—

საერო განათლების სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი შესახებ იმისა, რომ საერო სკოლების მასწავლებელთათვის საპენსიო კასსა დაარსდეს. მა პროექტს მალე წარადგენენ სახელმწიფო საბჭოში. პენსია სამ ვადიანი იქნება და დაენიშნება იმ მასწავლებლებს, რომელთაც ამ თანამდებობაში უმსახურიათ 15, 20 და 25 წელიწადი.

—

ახალ საპასპორტო კანონში ებრაელთათვის განსაკუთრებული წესი იქნება ჩართული. თუ ებრაელს იმ ადგილებში უნდა წასვლა-მოსვლა, რომელიც მათ საცხოვრებლად არის დანიშნული, პასპორტში, როგორც ეს გარემოება, ისე პასპორტის ამღების ნიშნები უნდა იყოს აღნიშნული. თუ ებრაელმა პასპორტი აიღო სხვა ადგილებში წასასვლელად, მაშინ ის ვალდებულია სად-ც-კი მივა, ადგილობრივს მთავრობას წარუდგინოს პასპორტი და აიღოს მისგან ახალი პასპორტი, წინანდელ პასპორტზედ მიკერებული. ეს კანონი სავალდებულო არ იქნება იმ ებრაელთათვის, რომელნიც რუსეთის შიდა გუბერნიებში არიან, ქალაქის მოხარჯეთა საზოგადოებაში ანუ ამქრებში შერიცხულნი.

—

პეტერბურგის სამთო ინსტიტუტში წელს ეგზამენის დასაჭერად მისულა 222 ახალგაზდა. ამათგან კარგად დაიჭირა ეგზამენი 116 მა. მიღებულ იქმნა მხოლოდ 53.

—

სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ დაამტკიცა წესდება პიატიგორსკისა, თერგის ოლქისა და სტავრაპოლის გუბერნიის ალექსანდრეს მაზრის ღვინის მწარმოებელთა საზოგადოების წესდება. ამ საზოგადოებას საგნადა აქვს, დაეხმაროს საზოგადოდ მევენახეობას და კერძოდ თავის წევრთ. საზოგადოება ჰმართავს სარდაფებს, იღებს შესანახად და გასაკეთებლად თავის წევრთა ღვინოებს და შემდეგ ჰგზავნის თავის მაღაზიებში პეტერბურგსა, მოსკოვსა და ვარშავში. საზოგადოება ჰბეჭდავს აგრეთვე თავის ჟურნალს, რომელიც შეეხება ბაღოსნობასა და ღვინის კეთებას. საზოგადოების წევრებად მიიღებენ ადგილობრივ ბაღებისა და ვენახების პატრონს, რომელთა ბაღიანი ვენახი ერთ დესეტინაზედ ნაკლები არ არის. ხოლო დანარჩენ წვრილ მებაღეთა და ვენახების პატრონთ საზოგადოება სხვაფრივ ეხმარება: იღებს ღვინოს გასასყიდად და ამ ღვინოში ფულს აძლევს სესხად და სხვ.

## უცხოეთი

**ინგლისი.** გაზეთები იუწყებიან, რომ ინგლისის პარლამენტი მომავალ სესიაში და ეგრედვე მერმის სულაც არ განიხილავს ირლანდიის ბილლს. ჯერ-ჯეროზით პარლამენტმა უნდა განიხილოს შემდეგი სამი კანონ-პროექტი: ბილლი სასმელების გაყიდვის შესახებ, განცალკევება ეკკლესიისა სახელმწიფოსაგან ვალისში და ბილლი საარჩევნო რეფორმისა. რაც შეეხება ჰომრულის ბილლს, მთავრობა მოსთხოვს პალატას ისეთ რეზოლიუციას, რომლითაც ამ ბილლის დედა აზრი მიწონებულ უნდა იქნას.

—

გერმანიის იმპერატორმა აღუკრძალა ჯარის კაცთ ფულზედ ქაღალდის თამაში.

### უცხოეთის წვრილი ამბავი

საფრანგეთში ამ ჟამად მთელი ლიტერატურა დაარსდა რუსეთისა და რუსეთის ცხოვრებაზედ. რუსეთზედ ფრანგების-მიერ დაწერილი წერილები რომ წაიკითხოთ, ღიმილს ვერ შეიკავებთ. შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი იმისა, რამდენად მოკლებულია სიმართლეს საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი ცნობანი რუსეთის შესახებ. საფრანგეთის ერთს სურათებიან ჟურნალში დახატულია სურათი გ. გ. ავსეენკოსი და აწერია: «ბ-ნი ავსეენკო, გამომცემელი «სასულიერო ჟურნალისა» სახელად „პეტერბურგსკაია ვედომოსტ.“ პარიჟის ერთს გაზეთში დაბეჭდილია წერილი რუსეთის აწინდელ ლიტერატურის შესახებ. ამ წერილის ავტორს ჩამოუთვლია სახელები: ტოლსტოისა, მაიკოვისა, გრიგოროვიჩისა, პოლონსკისა და შემდეგ ამბობს: ამათ გარდა კიდევ სხვა ახალგაზდა, ნიჭიერი მწერალნი არიან რუსეთში, მაგ.—ირგინსონი, პოზდნიშევი(!) და ციუკო(!). მეორე გაზეთში დაბეჭდილია: რუსები სადილს უკან ერთმანეთს სამჯერ თავს უკრავენ და შემდეგ სასულიერო საგალობლებსა გალობენო. სწერენ კიდევ, რომ დიდმარხვის შემდეგ, აღდგომას რუსები „ბლინებით“ იხსნილებენო და სხვ.“

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

ოქტომბრის 21-ს დილით მიხეილის საავადმყოფოში ერთი ხოლერით ავადმყოფი იყო.

ამ დღეს ტფილისში ხოლერით ავად არავინ გამხდარა.

ოქტომბრის 22-ს ტფილისში ავად გახდა 1.

ტფილისის გუბერნია.

ქ. გორში ოქტომბრის 19-ს ხოლერით ავად გახდა ერთი ჯარის-კაცი.

სოფ. სარვანში (ბორჩალო), 19-ს ოქომბერს 2 ხოლერით ავადმყოფი იყო და ორივენი მორჩნენ.

ამავე მაზრის სოფ. პატარა ოზურმანში ოქტომბრის 9-ს ხოლერით ავად გახდა ერთი კაცი, რომელიც იმავე დღეს გარდაიცვალა.

სოფ. პატარძეულში (ტფილისის მაზრა) 6-ს ოქტომბრიდგან 13-დე ხოლერით ავად გახდა 2 კაცი და ორივენი გარდაიცვალნენ.

განჯის გუბერნია.

სოფ. დემურჩილოში (ყაზახის მაზრა) 10 ოქტომბრიდგან 16-დე ხოლერით გარდაიცვალა 2 კაცი.

## გასართობი

საფრანგეთის ცნობილი მწერალი ქალი მადამ სტალი და კიდევ მეორე ქალი ძლიერ მოსწონდა მინისტრს ტალეირანს. მადამ სტალს ძლიერ უნდოდა შეეტყო, ჩვენ ორში რომელი უფრო უყვარს ტალეირანსაო და ერთხელ უთხრა: „მე და ის ქალი ორნივე ერთად რომ წყალში გადავარდეთ, პირველად ხომ მე არ მომეშველებოდით“—„იქნება ეგრეც მოხდესო, უპასუხა ტალეირანმა, რადგანაც ჩემის აზრით, ცურვა თქვენ უფრო უკეთ უნდა იცოდეთო“.

„რა ნახეთ საბერძნეთშიო, ჰკითხეს ერთს სახლში დაბრუნებულს მოგზაურს“.—„ვნახე დრო, ჟამთა ვითარება, რომელიც ყველაფერს შეუმჩნევლად მუსრავს და ანადგურებს,—უპასუხა მოგზაურმა.

ერთს მდიდარს კაცს მუსიკის ძლიერ დიდ მცოდნედ მიაჩნდა თავისი თავი. ერთხელ კონცერტზედ იყო. კვარტეტი უკრავდა. როცა დაასრულეს, კომპოზიტორი მივიდა ამ მდიდარ კაცთან და ჰკითხა: როგორ მოგეწონათ ეს მუსიკა? კარგი იყო, მაგრამ სამწუხაროდ, ძლიერ ცოტანი არიან, სულ ოთხი კაცი უკრავდაო.

## გამოსადეგი ცნობა

როგორ უნდა ავაშოროთ ხეხილს ჭია და სოკო? ამერიკელები ჭიის მოსაშორებლად ხეხილს ასხურებენ შვეინფურტის ბალახის წვენს, წყალში გახსნილს. სოკოს მოსაშორებლად იგივე წამალი იხმარება, ხოლო შაბიამანიც უნდა ურიოს. ვაშლის ხეს რომ მოშორდეს ჭია, რომელიც აყვავების დროს გაუჩნდება, თესლსა და გულს გამოსჭამს, ზემოხსენებულის წამლით უნდა ასხუროთ მაშინადვე, როცა ხე ყვავილს გამოიღებს და შემდეგაც, თუ ჭია არ გაწყდა.

გერმანიაში ხეხილს ასხურებენ ხოლმე ორ შტოფ წყალში გახსნილ 20 მისხალ შაბიამანით და ამდენივე კირით.

# დეპეშა

22 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** გუშინ დაიშალა კრება ნავთის მწარმოებელთა. შემუშავებულ იქმნა პროექტი საზღვარ გარედ ბაზრების დაარსებისა რუსეთის ნავთის გასასყიდად. კრებამ ამ საქმისთვის აირჩია თავის რწმუნებულად კასპიის ამხანაგობა შიბაევის ფირმისა და მექარხნე უნანოვი. ხელშეკრულობას მოაწერენ 23 ოქტომბერს. ნავთის მწარმოებელთა თხოვნა შესახებ იმისა, რომ ბაქოს ნაწილში ნავთის შესანახ საწყობების გასამართავად მთავრობამ 3,250,000 მანათი მოქვცესო, წარედგინება სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს.

**პარიჟი.** სანჯიედგან დეპეშით იუწყებიან, რომ გერმანელთა ტყის მცველს შეერთებულ სოფლის საზოგადოების საზღვარზედ ტყვედ წაუყვანია ორი ფრანგი, რომლებიც იქ ნებადაურთველად ნადირობდნენ. პრეფექტს თანაშემწე და ჟანდარმები გაემგზავრნენ ადგილობრივ საქმის გამოსაძიებლად.

დღეს დილით რუსეთის ესკადრა პირეის წავიდა. ნაპირზედ შეკრებილი ხალხი იძახდა: „გაუმარჯოს რუსეთს!“. რუსებმა უპასუხეს: „გაუმარჯოს საფრანგეთს!“.

**ბერლინი.** „Nationl Seitung“ იუწყება, რომ გერმანია-რუსეთის სადამოჟნო კონფერენციამ განიხილა გერმანიის მრეწველთა მოთხოვნილებანი. ამ განხილვას საგნადა ჰქონდა მხოლოდ სურვილი მორიგებისა რუსეთსა და გერმანიას შორის.

პეტერბურგის ბირჟა, 19 ოქტომბ.

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — | ,, | — | ,, | 7,65 | |
| ტრამოჟნის კუპონები | — | ,, | — | ,, | 153¹/₄ | |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| 5⁰/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — | ,, | — | ,, | 242 | |
| მეორისა . . . | — | ,, | — | ,, | 218 | |
| 4⁰/₀ მესამე სესხისა. . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — | ,, | — | ,, | 192³/₄ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | | | | |
| 6⁰/₀. . . . . . | 100 | | — | ,, | — | ,, |
| 5⁰/₀. . . . . . | — | ,, | 99 | | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6⁰/₀. | 100 | | — | ,, | — | ,, |
| 5⁰/₀ . . . . . | — | ,, | 99 | | — | ,, |
| 5⁰/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — | ,, | 98¹/₂ | | — | ,, |

# განცხადებანი

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—116)

მმართველობა ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ 25 ნოემბერს ამა 1893 წელს, ბანკის სადგურში, ფრეილინის ქუჩაზე, არწრუნისეულ სახლში დანიშნულია ვაჭრობით გასყიდვა ბანკზედ დარჩენილის ქვემოდ მოხსენებულის მამულებისა:

1) სახნავ-სათესი ადგილები, ზომით 17 დესეტინა 1780 ოთხ-კუთხი საჟ., მდებარე დ. ენაგეთში, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, რომელიც წინად ეკუთვნოდა ელისაბედ პავლეს ასულს შუტოევისას.

2, ერთი ნაჭერი მიწა, ზომით 213 ოთხ-კუთხი საჟენი, ქ გორში, რომელიც ეკუთვნოდა დურმიშხან შალვას ძეს ქურულს.




წერა - კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| ბაგრატ IV მისივე . . . | „ | 20 |
| ახტანგ VI მისივე . . . | „ | 15 |
| მიტრიდატ დიდი, პონტის მეფე, მისივე . . . | „ | 10 |
| მირიან მეფე და წმ. ნინო, მისივე . . . . . | „ | 10 |
| ქართველი ქალები, მისივე . | „ | 10 |
| სამი ისტორიული ქრონიკა, ე. თაყაიშვილისა . . | 1 | „ |
| წმ. ნინოს ცხოვრება, მისივე | „ | 40 |
| ბრძოლა საქართველოს მოსასპობლად, ანუ გიორგი სააკაძე, ან. ფურცელაძისა . . . . . . . . | 1 | 20 |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| თამარ მეფე, დ. კარიჭაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| გუჯრები, ალ. ხახანაშვილისა . . . . . | „ | 50 |
| ასპინძის ომი, ი. გოგებაშვილისა . . . . . | „ | 10 |
| საქართველოს გეოგრაფია ვახუშტისა I ნაწ. სამცხე, გამოც. მ. ჯანაშვილისა . | „ | 25 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა . . . . . | „ | 20 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა, მისივე . . . . . | „ | 50 |
| ძეგლის დება, მისივე . . | „ | 25 |
| მოკლე საყოველთაო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა . . . . | 1 | „ |
| საქართველოს საუკეთესო ისტორია მ. ჯანაშვილისა | „ | 45 |

# გამოსადეგი ცნობანი

## პირველი კერძო სამკურნალო

### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოანი, 9—10¹/₂ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10¹/₂—11¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და. დედათა სქესისა.

ი. ф. პროტასევიჩი, 11¹/₂—12¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. ვ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7¹/₂ საათამდის.

გ. ი. ფრანცუსი, 7—7¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

## „ჩიკაგო“

წინანდელი სასტუმრო „დანია“ გადავიტანე 1 ოქტომბრიდგან 1893 წ. მოსე არუთინოვის სახლში, კადეტის კორპუსთან, გოლოვინის პროსპექტის ახლო, ქალაქის შუაგულს, სადაც დავაარსე ახალი **მოწყობილი ოთახები** სახელად „**ჩიკაგო**“

ყველა ოთახები მშვენიერად არის მოწყობილი. სამაგალითო სისუფთავეა. მოსამსახურე ზრდილობიანია და სწრაფი. ყველაფერი წესიერია.

### ფასი ოთახებისა

დღიურად 3 აბაზიდგან—3 მანეთამდე, თვიურად და წლობით ბევრით იაფად.

ნ. ვოსკანოვი

(25—1018—3)

„ნევის პაპიროსი“

დუხები—„ნევის კაპრიზი“
ოდეკოლონი—„ნევის კაპრიზი“
საპონი—„ნევის კაპრიზი“

„მიუსკ“ დუხები | ახალი იმბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ სახ. ოდეკ.

სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„კაპრიზ ნევის“ გასაკეთებელს იარაღს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.

Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—16)



Въ Б. Жуковскій С.-Петербургъ 10. рота, 16.

უმთავრესი წარმომადგენელი წისქვილის თვლების ფაბრიკისა ე. ტრაპპისა.

ტრაპპის ფაბრიკის მიერ ბოგემიაში გაკეთებული წისქვილის თვლები საუცხოვო გამოდგა. ამ თვლებით სამჯერ უფრო მეტი იფქვის, ვიდრე სხვა ფაბრიკის გაკეთებულ თვლებით, 8 საათის განმავლობაში ფქვავს 600 (ექვსას) ფუთს.

Ревель А. Брокгаузенъ

პრეისკურანტები და სხვა და სხვა დამარწმუნებელი ქაღალდები მუფთად საჩქაროდ გაეგზავნება.

Доз. ценз. Тифлисъ, 23-го Октября 1893 г.    სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.    რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე